

24 საათი

პოლიტიკა

მთავრობა ინტრიგებშია ჩაფლული

უკვე ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორჯენიძეს "მოქალაქეთა კავშირის" რეაბილიტაცია ანდო, მან კი მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება, ძალაუფლების გარდა, პარტიაში "შეაქანა".

A2

ეკონომიკა

საქართველო ისევ ჩაბნელებულია

დღეს ძალაში შედის ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ბრძანებულება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიისათვის" მომარაგების 70-პროცენტისანი შეზღუდვის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ 12 საათიდან ყველაზე ცუდ გადახმად 30 ფილიალს ელექტროენერჯის მიწოდება სრულად შეუწყდება. საბითუმო ბაზრის გადამყვები საბოლოო.

A4

ეკონომიკა

„აღდაბი“ მძოდრებს აღარ აღძვევს

2003 წლის ივნისიდან სადაზღვევო კომპანია „აღდავი“ ავტომობილებითა და საოქლაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისებს აღარ გასცემს. ეს გახლავთ დაზღვევის ის სახეობა, რომელშიც „აღდავი“ წლების მანძილზე ლიდერობდა. დღეს კი კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეს სადაზღვევო პროდუქტი კომპანიისათვის არარენტაბელურია.

A4

უსხოოთი

პეტანხეების მიუხედავად, ძალადობა ბანახლდა

გუშინ დილით, ისრაელის არმიის ფორმებში გადაცმული სამი პალესტინელი თავს დაესხა ღაზის სექტორის და ისრაელის გამყოფ ერეციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტს. მათ ცეცხლი გახსნეს და ოთხი ებრაელი ჯარისკაცი მოკლეს. საპასუხო სროლის შედეგად, სამივე თავდასხმელი დაიღუპა.

A5

სამართალი

„გამთხვევითი“ მკვლელობა გლდანში

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს პირველი განყოფილების უბნის ინსპექტორი მიხეილ ნეველიძე, გუშინ დილით, პოლიციის მთავარ სამმართველოში გამოცხადდა და 24 წლის პაპუნა ლურჯაიას მკვლელობა აღიარა.

A8

ანიონი

თბილისი	28	☀
ქუთაისი	28	☀
ბათუმი	26	☀
სოხუმი	26	☀
ფოთი	26	☀
თელავი	27	☀
ზუგდიდი	28	☀
გორი	25	☀
ახმეტა	27	☀
ჭიათურა	28	☀

უსხოოთი ვალუტის ოპოზიციური კარსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1450
ევრო	2.5298
გირვანქა სტერლინგი	3.5159
რუბლი	0.0701

დიდი აფიორა მატალურბიულ კომბინატში

პრეზიდენტის სახელს ამოფარებული გასაიდუმლოებული გარიგება

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში ახალი ინვესტორის, იტალიური "არესის" შესვლის გარიგება ჩაშლის პირასაა. კომბინატის ერთ-ერთმა მსხვილმა კრედიტორმა "კილიგარდ ინვესტმენტს ლიმიტედმა" მეტალურგიის ხელმძღვანელობა არაკანონიერ ქმედებებში და აფიორაში ამხილა და საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართა. ეს ამბავი მისის შუა რიცხვებში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე ინფორმაციის გაუფრთხილებლობა, "24 საათმა" მაინც შესძლო მისი მოპოვება.

მაია მოსიაშვილი

"კილიგარდ ინვესტმენტს ლიმიტედი" ოფშორულ ზონაში, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიაა, რომელმაც ქართული კომპანიის, "მეტალურგ ოილ გაზ ინვესტის" მიმართ რუსთავის მე-

ტალურგიული კომბინატის ვალები შეიძინა. "კილიგარდ ინვესტმენტს ლიმიტედი" მხარს უჭერდა მეტალურგიულ ქარხანაში გერმანული კომპანიის, "კონალ აგ"-ის შესვლას, მაგრამ ის გეგმა მალევე ჩაიშალა და სარბიულზე იტალიელები გამოჩნდნენ.

ბაზრძალაბა A3 გვირგვინი

ავანტიურისტული ექსპერიმენტი დასრულდა

შენ-მართონელები თბილისში დაბრუნდნენ

თამარ სანიშვილი

"უსაფრთხო ხომალდები ხმელეთზე ამოთრეული ხომალდებია" - ასეთი ეპიგრაფი ნაუმიძელვარა გუშინ 26-მა ქართველმა მწერალმა საკუთარ მოთხრობას, უფრო სწორად, მოთხრობა - ეპიგრაფს. მათი არჩევანი არც შემთხვევითი იყო და არც უბრალო ახირება. ასეთი გახლდათ ჯერ მხოლოდ ორი წლის, მაგრამ უკვე საკმაოდ პოპულარული ლიტერატურული კონკურსის - "შენ-მართონის" პირობა, კონკურსისა, რომელსაც წელს ფოთის პორტმა - გემმა "კაპიტანმა თავართქილაძემ" უმასპინძლა, გენერალურ სპონსორად კი "საქართველოს ბანკი" მოელოდა.

კონკურსის შარშანდელ მონაწილეებს მოთხრობა საგანგებოდ შერჩეული საკონკურსო ფრაზით უნდა დაეწყათ. წელს კი ნაწარმოების თემა ეპიგრაფით განისაზღვრებოდა. თუმცა, მართონის მონაწილეთათვის რომ გეკითხათ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ფრაზას შემოგთავაზებენ, ეპიგრაფს თუ კიდევ რამე სხვაგვარ მიიწინებებს.

ბაზრძალაბა B2 გვირგვინი



"კაპიტანი თავართქილაძე" ხმელეთზე დაბრუნდა.

ფერაროს პირველი „დიდი სლეი“

ესპანელმა ჩოგანმა მარტინ ვერკერკი ორ საათში გაანადგურა

სუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - მარტინ ვერკერკი (შოლანდია, 46) 6:1, 6:3, 6:2

გუშინდელი ფინალი მხოლოდ მოთმინების ამბავი იყო. ესპანელმა სუან კარლოს ფერერომ შოლანდიელი აუტსაიდერი, მარტინ ვერკერკი სამ სეტში მინასთან გაასწორა. ეს რომ ფეხბურთი ყოფილიყო, თავისუფლად ვიტყვით, ცალკარა მატჩი იყო. 6:1, 6:3, 6:2 ფინალისთვის საკმაოდ არადამახასიათებელი ანგარიშია, თუმცა, კარგად ასახავს მეტოქეების ძალა თანაფარდობას.

სუან კარლოს ფერეროს კარიერაში ეს პირველი გამარჯვებაა "დიდი სლეის" ტურნირზე. მსოფლიო რეიტინგის მესამე ჩოგანს ამ გამარჯვების მისაღწევად 2 საათი და 9 წუთი დასჭირდა.

ჩემპიონის თასი ფერეროს ყოფილმა ჩოგბურთელმა, "როლან გაროსის" 1983 წლის სეზონის გამარჯვებულმა, იანი ნოამ გადასცა. ფულადი პრიზი კი 840 ათას ევროს შეადგენს...

შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი ფინალს დამარცხებული არ ჰყოლია: მატჩის შემდეგ მარტინ ვერკერკი უალრესად ბედნიერი ჩანდა. ფინალში მონაწილეობა ხომ მისი ყველაზე დიდი წარმატება იყო. ვერკერკი პირველი შოლანდიელია, რომელიც საფრანგეთის ღია ტურნირის ფინალში გავიდა. 420 ათასი ევროს ოდენობის პრემიაც არ უნდა იყოს ურიგო...



ფერეროს პირველი ამბორი.

კავკასიის კონფლიქტების მოგვარების განახლებული გეგმა

რეგვიზ ბახტაძე

სამი წლის წინ, ევროპული პოლიტიკის შემსწავლელმა ცენტრმა სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად, ყოვლისმომცველი გეგმა - "კავკასიის სტაბილურობის პაქტი" შეიმუშავა, რომელიც რეგიონის სახელმწიფოთა სახელისუფლებო და აკადემიურ წრეებში აქტიურად განიხილებოდა. თუმცა, რეგიონის სახელმწიფოებმა და დიდმა მოთამაშეებმა გეგმას მხარდასა მისაზრებებით პროექტის განხორციელებისაგან თავი შეიკავეს. ცოტა ხნის წინ, ევროპულმა ცენტრმა, მისი დირექტორის მაიკლ ემერსონის ხელმძღვანელობით, "სტაბილურობის პაქტის" განახლებული ვერსია შექმნა, რომლის პრეზენტაცია ახლახან თბილისში გაიმართა.

"კავკასიაში გაერო-სა და ეუთო-ს ეგიდით წარმოებულმა მოლაპარაკებებმა ათი წლის განმავლობაში არ გაამართლა... ამდენად, საჭიროა ალტერნატიული ხედვა ევროპის პერიფერიაზე არსებული გაყვნილი კონფლიქტების მოსაგვარებლად. ამჟამად,

რეგიონზე ახალი საგარეო ფაქტორები ახდენს გავლენას: ერთი მხრივ, ევროპეისა და პროცესი და, მეორე მხრივ, ამერიკელი ნეოკონსერვატორების "დემოკრატიული იმპერიალიზმი", რომელსაც ვაშინგტონი 11 სექტემბრის შემდეგ ახორციელებს", - ნათქვამია დოკუმენტის შესავალში.

ბაზრძალაბა A5 გვირგვინი

გათაცხავლთა

შესახებ ჰარ მხოლოდ ვერსიები ბროვდება

სოფო ახანიძე

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში, ემზარ კვიციანი კვლავაც უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ გატაცებულმა დამკვირვებლებმა სოხუმში განლაგებულ გაერო-ს ოფისთან დაკავშირება მოახერხეს. თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, გატაცებულებმა უკვე მეორედ მოახერხეს ტელეფონით ოფისთან კონტაქტზე გასვლა. გავერცხლებული ინფორმაციით, ამჯერად მათ გამტაცებელთა მოთხოვნაც გააცხეს კოლეგებს - 2 მილიონი დოლარი გათავისუფლების სანაცვლოდ. რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ცნობა, ძნელი სათქმელია, რამდენადაც თვით გაერო-ს ოფისი კომენტარებისგან თავს იკავებს.

ქართველ თარჯიმანს ლამა ჭიქა-შუასა და გაერო-ს სამ დამკვირვებელს: კლაუს ოტს, ჰერბერტ ბაუერს და ჰენრიკ სორენსენს, უკვე რამდენიმე დღეა, ეძებენ. გატაცებულთა მაძიებელ კოორდინატორებს "მონადირეებს" ნელ-ნელა სხვებიც შეუერთდნენ - კოდორში ვერტმფრენით ჩაფრენილი ქართველი სპეცრაზმელები, მოგვიანებით ხეობაში გადასხმული კინოოტეგები, რომელთა ოთხგზა მეგობრებისა და მაძიებლებს ძალიან ეიმედებოდათ, ორი დღის წინ სამძებრო სამუშაოებში ჩართული კოჯრის ბატალიონი და, რაც მთავარია, თავად კოდორის მოსახლეობა, რომელსაც, როგორც ამბობენ, კვიციანმა ხატზე დააფიცა - არაფერი დაუმალონ გატაცებულთა ადგილსამყოფელის შესახებ.

ბაზრძალაბა A7 გვირგვინი

ალექსი ვაშაჩიძე:

"გაერო-ს დამკვირვებლთა გათაცხავა მორიგი ოფისთვის სამუშაოსა"

რუსუდან ნიქარაძე

საქ. კორ. მოსკოვი

საქართველოში გაერო-ს დამკვირვებლთა გატაცების მორიგი ფაქტი რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის, გეოპოლიტიკის კომისიის კავკასიისა და შორი და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა სამუშაო ჯგუფის საგანგებო სხდომის მთავარ თემადა იქცა. სხდომა დაზღვეული იყო, მაგრამ ალექსეი ვაშჩინკო დაგვიანებდა, განხილვის დეტალებზე გავსაუბრებოდა.

- ჩვენთვის ცნობილია, რომ გაერო-ს დამკვირვებელთა და ბანდიტების მოსაძებნად საქართველოს სპეცსამსახურებმა დამატებითი კონტინგენტი გადაისროლეს. ვეჭვობთ, რომ ეს კონტინგენტი გაერო-ს ხალხის და გამტაცებლების პოვნის, ბრწყვალბში, შემდეგ უკან აღარ დაბრუნდება და კოდორში დარჩება. ლაპარაკია რამდენიმე ასეულ კაცზე. ქვემო აჟარას დღეს მთლიანად სვანები აკონტროლებენ, ემზარ კვიციანის ხელმძღვანელობით. სვანეთის გუბერნატორს დღემდე რუსეთის ფედერალური ხელისუფლება დაეძებს, სოხუმში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის მკველლობისათვის. სვანეთის გუბერნატორის მიერ კონტროლირებად რეგიონში, 1994 წლის შეთანხმების უხეში დარღვევით, დღემდე 900 შეიარაღებული პირი იმყოფება. ჩვენი ინფორმაციით, იქ არიან საქართველოს შსს, თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების წარმომადგენლები, იქვე არიან ჩეჩნები, "უნა-უნსოს" ხალხი და

ბაზრძალაბა A2 გვირგვინი

დიდი აფიორა მეტალურგიულ კომბინატში

პრეზიდენტის სახელს ამოფარებული გასაიდუმლოებული გარიგება

პირველი გავრცობა

გასული წლის ოქტომბერში რუსთაველებმა "არეს იმპორტ-ექსპორტ"-ის შემოსვლა ზარ-ზეიმით აღნიშნეს.

"მათ თავის თავზე აიღეს ორი პირის შესრულება; პირველი: ქარხნის რეკონსტრუქცია-გადართობა, ახალი ფოლადდნობი კომპლექსის მშენებლობა, ენერგეტიკული ბაზის შექმნა და მისაგლინავის ცივად დამუშავების განყოფილების გადართობა, ეს დაახლოებით 140 მილიონი დოლარის ღირებულების ღონისძიებებია; მეორე: 15 წლის მანძილზე 105 მილიონი დოლარის კრედიტორული დავალიანების გასტუმრება. ამ ორი პირობით ხდება ქარხნის ქონების ნაწილის გადაცემა ინვესტორებისათვის," - აცხადებს მეტალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ყორდანი, თუმცა ქონების რა ნაწილზეა საუბარი, არ აკონკრეტებს. მისივე თქმით, თუ ინვესტორები წაყენებულ პირობებს არ შეასრულებენ, კომბინატი წაგებული არ დარჩება, ის უკან დაიბრუნებს თავისი ქონების ნაწილს და ყველაფერი ისევ ძველებურად იქნება.

საპირისპირო სენსაციურ განცხადებას აკეთებს კომპანია "კლიგარდ ინვესტმენტს" ადვოკატი და უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენელი კაბა შარაბიძე:

"კლიგარდ ინვესტმენტს" და პირისპირება ამ გარიგების მიმართ გამოიწვია იმან, რომ ჩვენ გავაცნობიერეთ - ყველაფერი კეთდებოდა კრედიტორების მონაწილეობის გარეშე და მათი ინტერესების აბსოლუტური იგნორირებით." კაბა შარაბიძის თქმით, "ქარხნის ქონება, ფაქტობრივად, გაყიდული იყო და ამის შესახებ არც კრედიტორებმა და არც სახელმწიფომ, თუნდაც სამინისტროების დონეზე, არაფერი იცოდა".

"დიდი წვლებით გამოვსვალთ ინფორმაცია გარკვეულ უწყებებს, მათ შორის სასამართლოს, და ვიგებთ, რომ უკვე ის ეტაპია, როცა 77 მილიონი დოლარის ქონება საკუთრებაშია გადაცემული იტალიელებზე, თანაც ისეთი სამართლებრივი სქემით, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია. არ შეიძლება კრედიტორმა მასზე თანხმობა განაცხადოს, რადგან ეს არის დამლუპველი სქემა," - დასძენს შარაბიძე. "კლიგარდის" ადვოკატის მტკიცებით, უკვე არსებული გარიგების თანახმად, მეტალურგიული კომბინატის 77 მილიონი დოლარის ღირებულების ქონება კრედიტორებისათვის ხელმიუწვდომელი გახადეს და ამ ქონების უკან დაბრუნების შანსი სამართლებრივად არ არსებობს.

მელი გახადეს და ამ ქონების უკან დაბრუნების შანსი სამართლებრივად არ არსებობს.

"სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლში წერია, რომ გაკოტრების პროცესში მყოფი საწარმოს ქონების გასხვისება ან იმდგავარი განკარგვა, რის შედეგადაც ეს ქონება ხელმიუწვდომელი ხდება კრედიტორებისათვის, არის სისხლის სამართლის დანაშაული და, ფაქტობრივად, ეს სქემა ამას ნიშნავს," - ამბობს შარაბიძე.

გასხვისების სქემა


მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობამ ქარხნის ყველაზე აქტიური და ფასეული ქონება ახალი კომპანიის, შპს "რუსთავის მილი" სანესადებო კაპიტალში ჩადო, ანუ ქონება, მინა და შენობა-ნაგებობები, კომბინატმა გაასხვისა, სამაგიეროდ კი შპს "რუსთავის მილი" 100 პროცენტია ნილი მიიღო. ამდენად იტალიელებთან გარიგების საგანი გახდა არა კომბინატის ქონება, არამედ "რუსთავი მილი" ნილი. დაიწყო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც "რუსთავის მილი" 98 პროცენტი გადაეცა იტალიელებს.

"უკანონოდ დანიშნულმა რეაბილიტაციის მმართველმა და ორმა პიროვნებამ, რომელთა კრედიტორული დავალიანება ჯამში მიუღის ერთ პიროცენტზე არ არის, გააყალბეს დოკუმენტაცია და უკანონო და მიუღებელი სქემით გაასხვისეს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანი ქონება. მთელი ეს სქემა რუსთაველი მოსამართლის ჯაბანიშვილის "ქოლგის ქვეშ" გასაიდუმლოებულად გაკეთდა. ობიექტულად ადვილად ატყუებენ, თუ იტალიელები რეაბილიტაციის პირობებს არ შეასრულებენ, ქონება ისევ რმკ-ს დაუბრუნდება, მაგრამ ეს ასე არ მოხდება. იტალიელები, მაგალითად, 100 მილიონის ინვესტირებას "მილში" გააკეთებენ და მას მათი სახით უკვე გაუჩნდება ამდენივე მილიონის კრედიტორი. თუ ხელშეკრულება ჩაიშალა, კომბინატი უკან დაიბრუნებს თავის 100 პროცენტია ნილს იმ კომპანიაში, რომელსაც უკვე 100 მილიონის მეფლე ჰყავს," - ასე გამოფრა გასაიდუმლოებული გასხვისების სქემა "კლიგარდმა".

ამ აღმოჩენის შემდეგ "კლიგარდი" მასწავლებს სასამართლოში არ გაქცეულა. "24 საათის" ინფორმაციით, მათსა და იტალიელებს შორის ამ თემაზე კერძო საუბრებიც მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ. ამას ადასტურებენ, როგორც კაბა შარაბიძე, ისე ირაკლი ყორდანი, რომლის თქმით, "არესისაგან" კრედიტორი 12 მილიონ დოლარზე პირველი ხარისხის ბანკის გარანტიას ითხოვდა, რაზეც უარი მიიღო. რატომ ეწირება ასეულობით მილიონის ღირებულების პროექტი 12 მილიონს? ამ კითხვაზე პასუხი "კლიგარდის" ადვოკატს აქვს. "ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დასაწყისში ინვესტორ კომპანია და მიჩნეულია "არეს იმპორტ-ექსპორტის" მფლობელი და აქაც, ალბათ, იგივე უნდათ," - აცხადებს შარაბიძე.



რუსთავის მეტალურგიული კომბინატი თავის ქონებას იტალიელებს ახარებს.



ლიად სხვა იტალიური კომპანია "არეს ინტერნეიშნლ სრლ" გველინება. პირველის დამფუძნებელია ანკელა კორნა, ხოლო მეორის - მისი ქალიშვილი. საკვირველია, როგორ მოხდა, რომ 1 მილიონი ევროს სანესადებო კაპიტალის მქონე კომპანია 77 მილიონი დოლარის ქონება გადასცეს საკუთრებაში, რომელმაც თავის თავზე 200 მილიონი დოლარის ინვესტიციების განხორციელება აიღო? მით უფრო, რომ მათ მეტალურგიაში გამოცდილება არ აქვთ, მხოლოდ ჯარის ბიზნესში აქვთ გამოცდილება და აქაც, ალბათ, იგივე უნდათ," - აცხადებს შარაბიძე.

რას აკეთებს ამ დროს სახელმწიფო

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ყველაზე დიდი კრედიტორი საქართველოს სახელმწიფოა, 40 მილიონი დოლარით. მით უფრო გაუგებარია, რატომ არ მონაწილეობენ აქტიურად შესაბამისი სამინისტროები ამ პროცესში. შარაბიძე აცხადებს, რომ ისინი ამ პროცესს შეგნებულად ჩამოაცილეს, რადგან იტალიელებს იქ ვერც კითხვა და ბარიერი დაახვედრეს.

მეტალურგის ხელმძღვანელობა ყოველთვის პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდაჭერითა და სახელით სარგებლობდა. ისინი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პრეზიდენტს პირდაპირი შეხვედრები აქვს იტალიელ ინვესტორებთან და საქმე მისი პირადი პატრონაჟით ხორციელდება. როგორ შეიძლება ამის შემდეგ ეჭვი შეგუპაროს, რომ ვინმე იყალბებდა მათ? მით უფრო გასაკვირია, რომ ზემოთ გაშიფრულ სქემაში სახელმწიფოს მონაწილეობა არ მიუღია.

"პროცესუალურად სახელმწიფოს ამ პროცესში ყველაზე აქტიურად უნდა მიეღო მონაწილეობა. საქმეში ვერ ნახავთ საბუთს, რომ 40 მილიონი დოლარის ინტერესის მქონე სახელმწიფო, როგორც კრედიტორი, რაიმე ფორმით თანხმობას აძლევს ამ გარიგებას," - ამბობს "კლიგარდის" ადვოკატი, რომელმაც რუსთავის სასამართლოში სარჩელი და კერძო საჩივარი, იტალიელებთან ხელშეკრულებისა და შპს "რუსთავის მილის" გაუქმების მოთხოვნით, უკვე შეიტანა.

"არ შეიძლება, ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ იმისა, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატთან "გაზაფხული" და XXI საუკუნის ქარხანა გაკეთდეს. თუმცა, რაც უნდა დაიდა იყოს მიზანი, არ შეიძლება ამის გაკეთება არასწორად და კრედიტორების, მათ შორის სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ," - ასეთია "კლიგარდ ინვესტმენტის" პოზიცია.

"24 საათი" მეტალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ირაკლი ყორდანისა "კლიგარდის" ადვოკატთან შეხვედრამდე ესაუბრა. ყორდანამ, სარჩელის არსებობა არ უარყო, თუმცა მისი შინაარსის დაკონკრეტებას თავი აარიდა და იმედი გამოთქვა, რომ სასამართლოში კომბინატი გამარჯვებს, რადგან ის სახელმწიფო ინტერესებს იცავს, ხოლო "კლიგარდ ინვესტმენტს" - კერძოს. მეტალურგიული კომბინატის პოზიცია, თუკი მათ მისი გამოთქმის სურვილი ექნებათ, მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

ქალაქების/ქვეყნების კოლაჟი ჯეოსელ ნფო-თი

700

ბთაჰაზობთ Geocell ნფო-ს დაგატავით ფუნქციას - ქვეყნების და ქალაქების კოლაჟის მიღება მოქალაქეებს შიშობის შიშობის (SMS) საშუალებით.

• ქალაქის კოლაჟის მისაღებად SMS-ის მინიმალური აკრიფეთ სიტყვა: qalaqi, ნფორმალის გამოტოვებით მიუთითეთ ქალაქის სახელი და გააგზავნეთ ნომერი "700" მამ. qalaqi tbilisi

• ქვეყნის კოლაჟის მისაღებად აკრიფეთ სიტყვა: qvekana, ნფორმალის გამოტოვებით მიუთითეთ ქვეყნის სახელი და გააგზავნეთ ნომერი "700" მამ.: qvekana italia

მოგახსენებთ, რომ ჯეოსელის აბონენტებს ასევე შეუძლიათ შეიტყუონ ქალაქების და ქვეყნების კოლაჟი Geocell-ის მინიმალურ საშუალებით. ამ შემთხვევაში ისარგებლეთ ჯეოსელის მინიმალური კუნძულებით "satelefono kodebi"

ინფორმაციის შეკვეთა უფასოა, ხოლო ინფორმაციის მიღების ღირებულება შეადგენს 10 თეთრს.

დაგატავით ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 928 36 822 770177




Table with multiple columns containing numerical data, likely a ledger or financial record. Columns include various identifiers and numerical values.

გარეთის ფულგადასახდები, რომლებიც მოიგებენ სტუდიაში

სტუდიაში დასწრების უფლება მოიგებს შემდეგმა გარეთელებმა

Table with 7 columns: Name, ID, and other identifying information for individuals who have won the right to attend the studio.

გათამაშების მიმდინარეობა

Table with 4 columns: Player Name, Score, and other game-related statistics.

გათამაშებელი ნომრები

Table with 2 columns: Player Name and Score.

ქალაქ ქუთაისში შეიქმნა თავისუფალი ბარათები და ასევე განაღდოთ მოგება შემდეგ მოსაზრებებზე:

სატელევიზიო ტელეკომპანია "საქტელევიზიონი" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაშინებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე. გათამაშებაში მონაწილეობს 90 კომპი - 1-დან 90-ის ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა 15-ციფრიანი დაფის შეცვლა 75 სელს ჩათვლით.



ჯეკპოტის გათამაშების წესი

Table with 4 columns: Prize Category, Amount, and other details regarding the jackpot lottery rules.

